რედაქცია

სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა . . 9 მან. | სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა. . . 1 მან.


# დროება


გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბ უნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი


## «დროების» რედაქცია გადავიდა ახალს სადგურში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკ. გიმნაზიის უკან.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

15 ოქტომბერს.

სამარკანდი. 10 ოქტომბერს დაიწყო არხეოლოგიური გამოკვლევა; ქალაქს აფრასიაბში, სამარკანდის ჩრდილოეთის ნაწილში, ბევრი მარმარილოს, აგურის მორთულობანი, ბრონზის, მუშის და თიხის ნივთები, მოზაიკები და მანეთები გამოაჩინეს. ნივთებს პოულობენ იმისთანა ნაკეცებში, რომორნიც შეეფერებიან აქ გავრცელებულს უწინდელს ცივილიზაციას: არაბულს, ბერძნულ-ბაქტრიულს და ძველ-არანულს; ოთხი არშინის სიღრმეში თითო ორ-ორა ჩინეთურს მანეთებსაც პოულობენ. ყამირ მიწამდინ ჯერ არ დასულან. გამოკვლევის წარმოება მინდობილი აქვს პოდპოლკოვნიკს კრესტოვსკის.

ლონდონი. მინისტრთა რჩევამ მოიწონა გუშინ საფრანგეთის მმართებლობის წინადადება, რომელიც შეეხება მისიონერ შაუს დასაჩუქრებას ათასი გირვანქა სტერლინგით მის ტამატავაში და ტუსაღებისთვის

პეტერბურგი. «ქურნალ დე-სან პეტერბურ», უგებს პასუხს ბერლინის «ნაციონალ ცეიტუნგის» წერილს და ამბობს, რომ ჩვენი გაზეთები შეიძლება გავკიცხოთ მხოლოდ შემცდარს, ზოგჯერ აშფოთებულს, სჯაში; მაგრამ სამზღვარ-გარეთელი გაზეთები კი სისტემატიკურად ავრცელებენ უშვერს და წარამარა ჭორებს რუსეთზე და ყოვლის ღონის-ძიებით ცდილობენ ავნონ მას. როგორც მაგალითი გაზეთს მოჰყავს კენისბერგის გაზეთის ტყუილი ცნობა, ვითომც რუსეთის მმართებლობას დაქირავებული ჰყვანდეს ზოგიერთა ფრანცუზული ქურნალ-გაზეთები.

ვენა. ვენგრიის დელეგაციის გარეშე საქმეთა კომისიაში გრაფმა კალნოკიმ გამოაცხადა, რომ ის წინადადებანი, რომელნიც ოსმალეთს და ბულგარიას მიეცა, შეეხებიან რკინის გზის კონვენციის დროით შესრულებას. ამასთანავე მინისტრმა გამოსთქვა, რომ მის აზრით, ბულგარიამ სამხედრო ბიუჯეტის ნაწილი უნდა მოიხმაროს დუნაის ნაპირების სიმაგრეთა დასანგრევლად და პორტის ხარკის გადასახდელად, და იმედოვნობს, რომ ბულგარია შეასრულებს თავის მოვალეობას. «მაგრამ ეს სასურველია—სთქვა მინისტრმა—არა მარტო ერთი რომელიმე სახელმწიფოსთვის, არამედ საზოგადოდ ყველა სახელმწიფოებისთვის; საქმე კი, რიგია, ოსმალეთმა უნდა დაიწყოს.

ტაშკენტი. წუხელ მიწის-ძვრა იყო, რომელთან ერთად დედამიწის გულიდამ გრგვინვა მოისმოდა; არაფერი ვნება არ მოუხდენია. მოწმენდილი დაზბილი დარია.

ორენბურგი. იმ კომისიამ, რომელიც ქალაქის ბანკს სამი თვე უშვრებოდა რევიზიას. ყველაფერი რიგზე ნახა.

ხარკოვი. ვაჭრებმა გარდასწყვიტეს ილიინის იარმარკა პოლტავიდამ აქ გადმოიტანონ; ხელს აწერინებენ.

პოლტავა. გუბერნიის ერობის კრება დაიწყო.

ვენა. გრაფმა კალნოკიმ, განაგრძო რა სიტყვა, სთქვა: «იტალიასთან კარგი დამოკიდებულება გვაქვს, თუმცა კი ზოგიერთა პარტიები კიდევ ეწინააღმდეგებიან კავშირს, მაგრამ იტალიის ხალხის უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ კავშირი სასარგებლოა როგორც იტალიისათვის, აგრეთვე საზოგადოდ ევროპის მშვიდობიანობისათვის». შემდეგ მინისტრმა გამოაცხადა, რომ უსაფუძლოა ხმები ავსტრიასა და გერმანიას შუა უთანხმოების შესახებ, და აღარავითარი ეჭვი აღარ არსებობს მათი კავშირის სიმტკიცეში; რუმინიის მეფის და მინისტრის ბრატიანოს ვენაში მოსვლამ განაახლა უწინდელი მეგობრული დამოკიდებულობა რუმინიასთან; მუხთარ-ფაშის მოსვლას არავითარი განსაზღვრული პოლიტიკური აზრი არა ჰქონია და მხოლოდ შემოწ[illegible] კარგი განწყობილება ოსმალეთთან. რუსეთის შესახებ მინისტრმა სთქვა, რომ ხელმწიფეთა შორის დამოკიდებულება ყოველთვის გულითადი იყო, მმართებლობათაც სწორე დამოკიდებულება აქვსთ ერთმანეთთან. ამ გვარი შეხედულება, მართალია, ეწინააღმდეგება რუსეთის ქურნალ-გაზეთების ქცევას და მოქმედებას, მაგრამ მინისტრი დაჯერებულია, რომ ავსტრიის წინააღმდეგ განრისხებულია მხოლოდ ერთი წრე; ის აზრი, ვი-

---

«დროების» ფელეტონი, 18 ოქტომ

### ჩემს ჩანგს

(მიბაძვა)

არ მინდა, ჩანგო, სალხინო ხმები,
გულს ურვეულსა მე არ სწყურიან!..
სხვაფრივ აჟღერე შენი სიმები
და გამაგონე, რაიც მწადიან!

*

ნუ უგალობებ ვარდსა და ბულბულს,
ტურფა წალკოტსა,—მათსა სავანეს,
მერცხალს კისკასსა, უცხო გაზაფხულს,
და ქოროფა მდელოს ზურმუხტებრ მწვანეს..

*

არ მსურს, გალობდე თუნდაც სიყვარულს,
მაგ იდუმალსა, უცნაურს გრძნებას;
ცეცხლს დაუშრეტელს, მისგან მოდებულს,
ხან ტირილს მისგან, ხან ნეტარებას...

*

ნუ ამკობ ქებულუც ბეჯრაგულს თვალებს,
კვიპაროზს მსგავსსა მათს ტანადობას,
ბროლისა ყელსა, ვარდის ფერს ტუჩებს,
და მომხიბლველსა მშვენიერებას..

*

აბა რად მინდა მე კილო მგელი,
როს გესლით გული ავსებულია,
როს ღრღნის ჩემს ტვინსა სხვა ფიქრი მწველი,
როს სამშობლოს ცა

*

მე მინდა, ჩანგო, რომ შენს სიმღერას
ჩემს ძვირფასს მამულს მხოლოდ უძღვნიდე
რომ წმინდა ხმებში მისს მარცვის მგერას,
მისს სულს, მისს ყოფას გამოხატვიდე.

*

ტრფობის საგნად მხოლოდ მას სცნობდე,
მხოლოდ მით იყო შთაგონებული,—

და ბედით იყო გახარებული...

*

რომ შენს ჟღერაში გამოისმოდეს
მამულის შვილის წადილი წრფელი,
და სიხარულით მას ზანს ეტყოდეს
აღტაცებული შენი მსმენელი!!

დიმ. გრემელი.

### ციცია*)

(მოთხრობა)

მოხუცმა დაწვრილებით უამბო ციციას თავ-გადასავალი და სულთისგან გატაცება, შეატყობინა თავის სურვილი ცხოვრების გაყიდვის შესახებ და შეჰფიცა, რომ თუ ბექია ციციასთვის თავს გადასდებდა და სირცხვილს არ აჭმევდა თავის საცხოვრებელს და მასთან თავის ქალს იმას მისცემდა.

მოხუცის სიტყვები ბექიას ყურს სწვდებოდა, ესმოდა რაღაცა ლაპარაკი, მაგრამ თავის საკუთარ ფიქრებს ისე შეეპყრო, ისე დაემონებინა, რომ მოხუცის ლაპარაკის აზრი აღარ ესმოდა.

მწყემსი იწოდა მხოლოდ ერთი სურვილით, მხოლოდ ერთზედ-ღა ჰფიქრობდა და ეს იყო წადილი, რაც შეიძლებოდა ჩქარა შეჰყროდა იმას, ვინც ისე გაბედულად საყვარლის თავს ეცილებოდა.

ბექიას ფერი იმის და კვალად მისდიოდა და მოსდიოდა, თუ რა გვარს მოაზრებას შეეპყრო მისი გონება, რა გვარი ფიქრი გაუელვებდა თავში, რა რიგი სურათი ეხატებოდა თვალ წინ.

ისინი ჯერ კიდევ ამ ყოფაში იყვნენ და ციციას გატაცების ხმა საჩქაროდ მთელს ხევს მოედებულიყო და თითონ მოხუცის სარქლის ყურამდინაც მიეღწია. რადგანაც ამ უკანასკნელმა ბექიას ციციასთან დამოკიდებულება იცოდა, ეს მწყემსი უყვარდა გულით და სულით, აფასებდა მის ბიჭობას და ისიც იცოდა ამ შემთხვევას რა მოქმედებაც ექნებოდა შეყვარებულზედ, გზიურ გამოსწია იმისკენ, რომ რითიმე ენუგეშებინა.

როდესაც ის ბექიას მოუახლოვდა, დაინახა ქუდ-მოხდილი, თმა-გაწეწილი მოხუცი, რომელიც მწუხარებას შეეპყრო და გულის ნაღველს სახე უცნაურად დაეღრიჯა.

დაინახა ბექიაც, რომელსაც პირისახე სამარის ფრად გადაჰქცეოდა, თვალები ცეცხლებრ ანთებოდა და სადღაც შორს, შორს მისჩერებოდენ, თითქოს იქ რაღაცა განსაკუთრებულს შესანიშნს სურათს მიეპყრო.

მოხევეები ყოველთვის ისე ფთხილნი არიან, რომ კაცი შეუმჩნევლად ძნელად მიეპარება; ეხლა კი სარქალი ისე მივიდა რომ ვერც კი დაინახეს.

— რას სჩადით, რაი მოგსვლიათ?!— შეუტია მისვლის უმალ.

ორივ აქ მყოფები შეკრთნენ ამ ხმაზედ და თითქოს გონს მოვიდნენ.

— არ გრცხვენისთ!..—დაიწყო ისევ სარქალმა,—დიაცებ ხომ არ ხართ, მანდილოსნებ?.. წვერ-ულვაშს ატარებთ, ქუდებ გხურავთ!.. ვოქები ხართ!

— რაიღა «ვოქები»!—მწუხარებით წარმოსთქვა მოხუცმა,—სახლი გამიწბილეს, ულვაშ შემირცხვინეს, ქუდი მომხადეს!

— სუ-ღა ჩე!—შეუტია სარქალმა:— უმტერო «ვოქი»—რაი კაცია, რაი ქუდოსანი?!. გონს მოდით!.. მტერს პასუხის გაცემა «უნდის», გალაღებულს—გადახდა...

— უნდის, უნდის, ღთის მადლმა, და მეც გადავუხდი!.. მგრე გადავუხ-

*) იხ. «დროება» № 199.

თუმც რუსეთი ფიქრობდეს ავსტრიასთან ომს, უსაფუძვლო და შეუძლებელია არამც თუ მარტო-რუსეთის შინაური საქმეების გამო, არამედ იმიტომაც, რომ, თუ ვინიცობაა, თავს-დასხმა მოხდა, ავსტრია მარტო, სხვის შეუწევნელად, არ დარჩება. მინისტრი უარს არ ჰყოფს, რომ რუსეთი გაჩქარებული მოქმედობს და ძლიერ ემზადება საომრად მაგრამ იმ სიმაგრეთა წინააღმდეგ, რომელთაც სახელმწიფო თავის საკუთარს საზღვრებში აკეთებს, არაფერი არა ითქმის რა.

16 ოქტომბერს.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. გამოიცა ახალი დადგენილება ჯარის მკრეფავი გამგეობათათვის, 1876 წლის დადგენილების მაგიერ, სისნეულეთა და სხეულის ნაკლებულებათა ნუსხით და ექიმების ინსტრუქციით რომელიც უჩვენებს, როგორც უნდა გაუზომონ ექიმებმა მკერდი და ქვემო ტანი იმ პირთ, რომელთაც ამოწმებენ ჯარისთვის.

მომავალ კვირაში დაიწყება მმართებლობის კომისიის სხდომები იმის შესახებ, რომ მომავალში რუსეთის ქარხანეებს შეუკვეთონ ხოლმე რკინის გზების კუთვნილებათა გაკეთება.

ტურგენიევის გვამის გასინჯვის პროტოკოლიდგან, რომელიც ეხლა მოვიდა, სჩანს, რომ მისი ტვინი 2012 გრამი წონისა მოსულა; უდიდესი კიუვიეს ტვინი წონაში სულ 1800 გრამი გამოვიდა.

ᲡᲐᲛᲐᲠᲙᲐᲜᲓᲘ. გუშინ გენერალ-გუბერნატორმა მიიღო განკებ გამოგზავნილნი ბუხარის ელჩნი, რომელთ მოთავეთაც ემირის შვილია.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐ. აქ რვა კაცი კიდევ მოკვდა ხოლერითა.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. საბჭოში იდღესასწაულეს რუსეთის მკურნალთა საზოგადოების ორმოც და-ათის წლის იუბილეი. ბოტკინმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც მარტო ისტორიას შეეხებოდა; საზოგადოებამ ბევრი ადრესი და ტელეგრამები მიიღო, სხვათა შორის, მარკო და ვირხოვისაგანაც; სადამოზე ბორელის რესტორანში ამხანაგური ვახშამი იყო, რომელზედაც მათი იმპერატორებით დიდებულებათა სადღეგრძელო ადტაცებით მიღებულ-იქმნა.

ᲞᲝᲚᲢᲐᲕᲐ. დღევანდელს გუბერნიის სათავად-აზნაურო კრებაში გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა განიმეორა წინაშე თავად-აზნაურთა, რომლებითაც სავსე იყო დარბაზი, ხელმწიფე იმპერატორის სიტყვები, მიმართულნი სათემო სტარშინებისადმი მოსკოვში სახალხო დღესასწაულზე, და წინადადება მისცა გამოუცხადონ მისს იმპერატორებითს დიდებულებას შინაურთა საქმეთა მინისტრის მიერ თვისი ქვეშევრდომული ერთგულების გრძნობანი და ტახტის და მამულის მტერთა წინააღმდეგ ზღუდედ მზად-ყოფა.

### ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ

ვინ არ თანაუგრძნობს ჩვენში იმ მშვენიერს მოსაზრებას, რომელმაც დაჰბადა ისეთი სპეციალური მეცნიერების ტაძრები, როგორც სამასწავლებლო სემინარიები და ინსტიტუტი. ამ სასწავლებლებიდამ უნდა გამოვიდენ გონება-გახსნილნი და თავიანთ მძიმე მოვალეობის ასასრულებლად გონიერად მომზადებული ახალ-გაზდა მასწავლებლები. რაღა საჭირო უნდა იყოს მაზე ლაპარაკი, რომ ამ სასწავლებლებში სწავლა-განათლება მიღებულებმა უეჭველად წესიერად და სრულიად პედაგოგიურად უნდა წაიყვანონ თავიანთი სულიერი საქმე. დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენში ერთი სპეციალური სახალხო მასწავლებლების მოსამზადებელი სასწავლებლები გაიხსნა და ყოველ წლობით გვემატება არა ნაკლებ 20 და 30-ის მასწავლებლობის ასპარეზზე გამოსულ ახალ-გაზდისა. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, მათგანს ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლებში ძლიერ იშვიათად იპოვნით. რამდენი ათეულს გორის სამასწავლებლო სემინარიას იმერელთაგანი, მაგრამ თავის ქვეყნის სკოლებში არ მიდის, თუ ან ორ-კლასიანი ნორმალური სასწავლებელი არ იქნა, და ან სამოქალაქო. ნუ თუ ისინი ვალდებული არ არიან, რომ ამ გვარ სკოლებში იმსახურონ? მაშ რა მიზეზია, რომ ქართლ-კახეთის სკოლები თითქმის სავსეა სპეციალურად მომზადებული მასწავლებლებით და იმერეთში კი თითქმის სანთლით საძებარი შეიქმნენ. ჩემის აზრით, ამის უმთავრესი მიზეზი მასწავლებლების მატერიალური მდგომარეობაა და, შემოერთაც, იმ მცირე ჯამაგირის აღებაც, რომლითაც აჯილდოებენ იქ მასწავლებლის შრომას. რამდენი ლიჭინი და ხვეწნა შემოეხარჯება საწყალ მასწავლებელს სოფლის მამასახლისთან, ვიდრე მისი ორი სამი თვის ჯამაგირის თვალით დანახვის ღირსი გახდება.

ქართლ-კახეთის სკოლებში-კი ამას ყველაფერს მოშორებულია მასწავლებელი. იმან იცის დრო და ალაგი, საიდგანაც უნდა აიღოს, როგორც სხვა სამსახურის კაცმა, და არც კი ფიქრობს ამაზე. იმერეთში კი პირველი კითხვა მასწავლებელს ეს ებადება: დღესა აქვს საჭმელი რამე თუ არა? როგორღა იფიქროს მან ბავშვების გონებითს განვითარებაზე!

აი ის მიზეზები, რომელნიც არ უშვებენ ჩვენსკენ (იმერეთისკენ) კარგად მომზადებულ და საქმის მცოდნე მასწავლებლებს.

ჯერ საზოგადოდ ყველა მასწავლებლებისთვის და განსაკუთრებით იმ გვარ მასწავლებლებისთვის, როგორებიც ახლა ჩვენს სკოლებს მართვენ, თითქმის «არსებით' პურს» შეადგენს ესრედ-წოდებული თვით-განათლება და განვითარება, რომელსაც მასწავლებლის ენერგიასთან და სურვილთან ერთად შეუძლიან მოიტანოს მრავალ-გვარი და მრავალ-ნაყოფიერი სარგებლობა. მასწავლებელს შეუძლიან მის შემწეობით დადგეს სწორს პედაგოგიურ გზაზე და გახდეს ღირსი «სახალხო მასწავლებლობის წოდებისა». ამ აზრის განსახორციელებლად, უპირველესად ყოვლისა, საჭიროა შესწავლა პედაგოგიისა, პედაგოგიური წიგნების კითხვა, რომელნიც უსათუოდ უნდა იყვნენ სახალხო სკოლების ბიბლიოთეკაში. საჭიროა აგრეთვე, გარეშემო ბუნების და ენის შესწავლა, ცხოვრების მსვლელობის თვალ-ყურის დევნა, რისთვისაც მმართებლობის მხრით საჭიროა გამოიწყ-

---

დი, რომ ჩემი გამჯავრე გაჩენას იწყევლიდეს!—მუქარით წარმოსთქვა ბექიამ და თოფს ისე მაგრა მოუჭირა თითები, ისეთ რიგად შეანძრია, რომ მნახველი უნებლიე წარმოსთქვამდა: «ბექია მართალს ამბობს, იმასთან ხუმრობა არ გამოდგება!»

სარქალი «მთიელი»*) იყო, ბავშობიდგანვე მწყემსებში გაეტარებინა დღენი და ამისთვის სულით და გულით შესჩვეოდა იმ რაინდულს და, იქნება, სამართლიან წესსაც, რომელიც შეურაცყოფისთვის უეჭველს გადახდევინებას ითხოვს,—და თუ ბრძოლაში მოკვდებოდა იმისი აზრი ამ სიმღერას ეთანხმებოდა: «სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი!»

ამისთვის იმას მოეწონა ბექიას სიტყვები, მივიდა იმასთან და მხარზედ ხელის დაკვრით უთხრა:

— ბიჭაუ, შენი იმედი მქონდა და არც მოვტყუვდი!.. არა, ღთის მადლმა!.. წადი, მაგრამ სამართლიანი იყავ, უსამართლო ვაჟკაცი დიაცს ეთანაბრება! მერე მიუბრუნდა მოხუცს და უთხრა: რას აპირებ, რაი გინდა ჰქნა?

— რაი ვქნა?—დაღონებით წარმოსთქვა მოხუცმა:—ყმაწვილი ვიყო, მე ვიცოდი და ეხლა კი ცხო აღარა მრჩება-რა, საცხოვრებელი გავყიდო, ნაჩალნიკები შევაჯერო და მტერს ისე გადავუხადო.

— რას უბნობ, «ღვთის» მადლსა! რაისთვი გინდა ნაჩალნიკები?... რას გაგიკეთებენ?—დაიწყო სარქალმა:—ღთის მადლმა, დაანებე იმათ თავი, თორო სარჩო-საბადებლიდგან ცარიელი დარჩები!... ცარიელს, აგრემც შემეწევა სამება.

— ბარემ, ბარემ, შენაი ჭირაიმე, ბარემ აგრე მოვიქცეოდი, რო პატრონი ვინმე მყავნდეს!.... უფალს ერთაი ვაჟაი მაინც მოეცა... აღარ გაათავა მოხუცმა და ჩაიქნია ხელი.

— ვაჟაი?... აი ვაჟაი!... და უჩვენა სარქალმა ბექიაზედ,—ამაზედ უკეთესი ვილა გეყოლება.

მოხუცმა დაღონებით შეხედა, მაგრამ ხმა არ ამოიღო. იმას მოაგონდა, რომ წელან ბექიას ეხვეწებოდა, ემუდარებოდა, მაგრამ ის ხმას არა სცემდა, არც ერთი საიმედო სიტყვა არ ეთქვა. ქორღუყომ იმის სიჩუმე უარად ჩასთვალა და მის შემწეობაზედ იმედი გარდაიწყვიტა. ბექია კი, რომელიც გონს ძლივს მოსულიყო და მოხუცის უწინდელის სიტყვებიდგან აღარა ახსოვდა-რა, ჰკვირობდა, რომ ამისთანა გაჭირვებაში ქორღუყო არას ეუბნებოდა; ყმაწვილმა ბიჭმა ეს ისე ჩასთვალა, რომ მოხუცს თავის ქალის საქმეში იმის გარევა არ უნდოდა და თავ-მოყვარეობამ სრულიად გამოაფხიზლა.

— «მაშ ცაცია საქმეში ვინ უნდა გაერთოს? თუ არ ბექიას ვის ეკუთვნის მისთვის ზრუნვა?»—გაურბინა მას გუნებაში და მაშინვე გადასწყვიტა, რომ ციცია იმასავით არ ვის უყვარდა და მისთვის ზრუნვა ბექიასავით არავის ეკუთვნოდა. ყმაწვილმა მოხევემ წყნარად ამოიოხრა, გადიგდო თოფი მხარზედ და სწრაფის გამოსალმების შემდეგ გაბრუნდა გზისაკენ.

— სად მიხვალ?—შეაყენა სარქალმა.

— რაი გინდა, სადაც უნდა მივდიოდე, მე ჩემი გზა მაქვს და თქვენ თქვენი!

— მოიცა-ლა «ვაჟაუ»!.. ჩვენც გაგვაგებინე, რას აპირებ?

— ღთის მადლმა, მე თავად არ ვიცი,—წარმოსთქვა ბექიამ და მართალსაც ამბობდა, რადგანაც, რა რიგად უნდა ემოქმედა, თითონაც არ გადაეწყვიტა.

— წავალ და როგორც ღმერთი მაგონებს, ისე მოვიქცევი,—ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა იმან და გაემართა თავის გზას.

ყველა მოცადინეობა, რომ დაებრუნებინათ, თხოვნა, ხვეწნა, ძახილი ამაოდ დარჩა, რადგანაც ბექია ჩარბოდა მთის ბილიკზედ და ისე გადაეფარა გორას, რომ უკანაც აღარ მოუხედნია.

მოხუცი გაშტერებული და დაღონებული, თითქოს მძიმე ტვირთ ქვეშ, მოხრილიყო და საცოდავად გამოიხედებოდა.

— მაგანაც თავი დამანება!—ბოლოს ოხვრით წამოიძახა იმან და მომეტებულის მწუხარებით დაუმატა: მე კი მაგისი ისეთი იმედი მქონდა!.. ახლა ვილა დამრჩა?!

სარქალმა წყნარად ცისკენ ხელი აიშვირა და დარწმუნებით წარმოსთქვა.

— ღმერთი!

XVII

გაიარა რამდენიმე დღემ და მოხუცი ქორღუყო ნაჩალნიკისას ჩავიდა, რათა თავისი მწუხარება შეეჩივლა და საჭირო შემწეობა ეთხოვნა.

უმეტეს წილს ნაჩალნიკებისას, მთისას აუცდენად, ნაზირ-ვეზირი

*) ჩვენში ხშირად მთაში მცხოვრებლებს «მთიულებად» უწოდებენ, როდესაც «მთიულნი» მხოლოდ ერთი მხრის მცხოვრებლებს ჰქვიან და საზოგადოდ მთაში მცხოვრებთ-კი «მთიელთ» ეძახიან.

როს სკოლამ ერთი ან ორი ჟურნალ-გაზეთი.

ყველაზე უმთავრესად ჩვენის მასწავლებლების წინ წამწევი და უფრო სწორ და გონიერ გზაზე დამყენებელი, ჩემის აზრით, არის ერთმანეთ შორის ძმობა, ამხანაგობა, ხშირ-ხშირად ერთ ალაგს თავს მოყრა და საცილობელ კითხვების განმარტება, რომელნიც შეეხებიან ან მათდამი მინდობილ სკოლების ცხოვრებას და ან იმ ხალხს, რომლის შორის მასწავლებელი ბნელში მანათებელი კელაპტარივით უნდა იყოს. როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიაც ამ ნაირი საზოგადოება ან სულ არ არის და ან თუ არის ძლიერ სუსტად მიჰყავს საქმე.

საზღვარ გარეთ კი მრავალია ამ გვარი საზოგადოება, როგორც, მაგ. მასწავლებლების კრება, კერძო რჩევა და სხდომები, საზოგადოება, რომლის საგანიც მასწავლებლების ოჯახურ ნაკლულოვანების დაკმაყოფილებაა, ბიბლიოთეკის მმართველი საზოგადოება, რომლის მოვალეობასაც შეადგენს ახალ-ახალი პედაგოგიური წიგნების, გაზეთების და ჟურნალების გამოწერა, კომისია, რომელმაც უნდა გამოსცეს წარჩინებული პედაგოგიური თხზულებები მასწავლებლებისა, და მრავალნი კიდევ სხვანი. ეს ყოველივე მისთვის არის დაწესებული, რომ უნებლიედ იწვევს მასწავლებელს ენერგიულად იმუშაოს თავის ასპარეზზე, და აღორძინებს მათში სულიერს და პედაგოგიურ ძმობასა და ერთობას.

ჩვენში კი მასწავლებლები ორ-სამ წელიწადში ერთხელ თუ ნახვენ ერთმანეთს, კიდევ კარგი.

ამის მიზეზი კიდევ ის არის, რომ ჩვენში საზოგადო სამასწავლებლო კრებები, სახალხო სკოლების დირექტორის ხელმძღვანელობით, ისე იშვიათია, რომ ბევრმა ჩვენმა სახალხო მასწავლებელმა არც კი იცის, რა არის სამასწავლებლო კრება, რა კითხვები უნდა მოამზადოს ამ კრებაზე განსამარტებლად, ან რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან მას. ყველასათვის თითქმის გაცვეთილი ჭეშმარიტებაა, რომ მუსიკი, ბაასი, მსჯელობა რაიმე საგანზე მცოდნე კაცისათვის არის ერთი უმთავრესი მისი დამატკბობელი საშუალება, სადაც სარგებლობას და სიამოვნებას ერთად გრძნობს კაცი. როდესაც მასწავლებლები ხშირ-ხშირად იკრიბებიან, უზიარებენ ერთიერთმანეთს აზრს, სჯიან აგრეთვე ერთმანეთის შემწეობით იმ საგნებს, რომელნიც მარტო ვერ განუსჯიათ, მოუთხრობენ ერთიერთმანეთს ახალ მეთოდაზე, ან წაკითხვაზე ან თვითონ პრაქტიკიდამ ნაჩვენებზე,—მაშინ, რასაკვირველია, ეჭვი აღარ უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი ნორჩი ახალგაზდობის სწავლა-განათლება გონიერად წავა და კარგს ნაყოფსაც მოგვცემს.

ეს შენიშვნა წარმომათქმევინა იმ გაზეთ «Кавказъ»-ში დაწერილმა ამბავმა, რომ ამ ხანებში ვლადიკავკავში ყოფილა სახალხო მასწავლებლების კრება ბ. დირექტორის ბრუშევსკის ხელმძღვანელობით, სადაც მრავალ-გვარი პედაგოგიური კითხვები აღუძრავსთ და განუმარტებიათ კიდეც.

ვისურვებ მხოლოდ, რომ ჩვენც ქუთაისში მალე გვეღირსოს სამასწავლებლო კრება, რომელსაც გამოუთქმელი სარგებლობის მოტანა შეუძლიან ჩვენის ახალ სახალხო მასწავლებლებისთვის.

თ. კვალითელი.

## შინაური ქრონიკა

სიღნაღიდამ გვწერენ: «ზაფხულში «დროებაში» დაბეჭდილმა ფელეტონმა დეპოს შესახებ ჯეროვანი გავლენა იქონია. ზოგიერთა სანდო პირებმა გამართეს ხელის-მოწერა დეპოს დაარსებაზე არა მარტო სიღნაღში, არამედ მთელს მაზრაში. ჯერ-ჯერობით კარგად მიდის ხელის-მოწერა. ხელის მომწერთა შორის სოფლელი გლეხიც ბლომად ურევია. ღმერთმან ინებოს, რომ სიღნაღსაც მალე ეღირსოს საამხანაგო დუქანი.

იქიდამვე იწერებიან: «ვისაც კი სიღნაღი უნახავს, დამეთანხმება, რომ ეს ქალაქი ყველა თბილისის გუბერნიის სამაზრო ქალაქებში ერთი უბედურთაგანია: ყველგან ოღრო-ჩოღრო ქუჩები, ხრამ-ხრუმები, ზოგიერთა ალაგას გადასავარდნები, ერთის სიტყვით, სიღნაღს ერთი ხეირიანი ქუჩა არა აქვს, რომ კაცმა შეუბორძიკებლად გაიაროს.

«ავდრიან დროს საიარული ხომ, მეტადრე, ღამე სწორედ თავზე ხელის აღებაა. ქალაქი იქამდინ უთაურია, რომ რამდენიმე ფარანი ვერ დაუდგავს ქუჩებზე. ამისთანა წვიმალზე ლაპარაკი არა ღირს და სირცხვილიც კია ესეთის თვალსაჩინო ნაკლულევანების გახსენება, მაგრამ რასა იქთ, როდესაც აქაურ მოქალაქეებისაგან მეყურება შემდეგი მჭევრმეტყველობა: «რად გვინდა ფარან-ფურანი, მერე ვიდასა: აქვს თავი ჩვენს ქალებს უგანა სდიოს. ჩვენმა ქალმა სინათლე დაინახა, მორჩა! შუაღამემდინ შინ ვეღარ შემოიყვანს, [illegible] რა, უფარნოთაც ითლად [illegible]!

«თვალ წინ სიღნაღს მაგალითი თავისივე მაზრის სოფელი ველის-ციხე უძევს, სადაც ქუჩები და ორღობეები ფარნებით არიან განათებულნი, თუმცა სოფელი ვაკეზეა გაშენებული. მაზრის უფროსი ძალიან კარგს იზამს, თუ დეპუტატებს ჩააგონებს და რამდენიმე ფარანს დაადგმევინებს ქუჩებზე.

ს. ურიათუბნიდამ (თელავის მაზრა) იწერებიან, რომ ჩვენში რიგიანმა მამასახლისებმა ფეხი ვერ მოიკიდეს და უკანონოების მიმდევართ კი ბევრი მომხრე შეიძინესო. ეხლა მამასახლისების ამორჩევის დრო მოდის და მრავალი გაიძვერა პირი იგრეხს ულვაშს და ცდილობს სადილების გამართვით ხმები იშოვნოსო. ეტყობა ურიათუბანში მამასახლისის ალაგი» შემოსავლიანი ალაგი ყოფილა.

რუსული გაზეთები გვაცნობებენ, რომ მთავარ მმართებლისა და ქქვსის გენერალ-გუბერნატორის ჯამაგირისათვის მოუთხოვნიათ 1884 წელს 216,580 მანათი; 1883 წლის ესევე ჯამაგირები 13,720 მანათით ნაკლები იყო.

ხუთშაბათს, 20-ს ოქტომბერს, ქართული დრამატიული დასი წარმოდგენას გამართავს, რომელზედაც მოწვეულია რუსეთის განთქმული დრამატურგი, ბ. ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ოსტროვსკი.

ამ საღამოს ღირსეული სტუმრის კომედიიდგან «შემოსავლიანი ადგილი» რამდენიმე აქტი იქნება წარმოდგენილი და აგრეთვე იმისთანა ორგინალური

---

უნდა ჰყვანდეს და მათის საშუალებით ხალხთან არიგებდენ საქმეს, აღმოაჩენდენ დამნაშავეთ და ღირსეულთ ღირსეულს მიუწყამდენ.

რასაკვირველია, ხსენებულს ხალხის მმართველსაც ასეთივე ნაზირი ჰყვანდა და მისი საშუალებით ხალხთან დამოკიდებულება უადვილდებოდა.

ეს ნაზირი გახლდათ ერთი გალატაკებული აზნაურშვილთაგანი, რომელიც გვარიშვილობას გაებერა და შინ-კი სულის მოსაბრუნებელი ლუკმა არ გაიჩნდა. ამ გვარს კაცს საზრდოს მოსაპოებლად შრომა ეჭირებოდა და აზნაურს «აპრაკუნეს»-კი (ხალხი მეტს სახელს ამას ეძახდა), ნაჩალნიკის ვეზირსა, ეს ვერ მოეხერხებინა, რადგანაც მუდამ სხვათა კარს გდებას და ბავშობიდგანვე უსაქმურობას გაერყვნა.

შიმშილით რომ მომკვდარიყო, ჩხირს ვერ გადააბრუნებდა და თუ ვინმე რომელსამე საქმეს ურჩევდა, ის წყენით თავის გვარიშვილობას მოაგონებდა და დაუმატებ: «რავქნა აბა?!. მე რომ ერთი გლეხი ვყოფილიყავ ყველაფერს ვიკადრებდი, მაგრამ აზნაურშვილი ვარ და მეთაკილება, მრცხვენიან»!.

ასე ამბობდა, ასე სჯიდა აზნაური «აპრაკუნე» და ბევრჯელ მსმენელში თანაგრძნობასაც-კი აღძრავდა, მაგრამ საკვირველი ეს იყო, რომ თავის წოდებით გაამაყებული «აპრაკუნე», რომელსაც გვარის შვილობაზედ ასეთი სიამაყით სავსე შეხედულება მუშაობის ნებას არ აძლევდა, თავისდღეში არც ერთს მუქთა სადილს, «წირვა-ქელეხს, ქორწილს და მეჯლიშს არ მოსცდებოდა. იქ მასხარობდა, პამპულობდა და ოღონდაც კარგი სადილი არ დაეკარგა და თუნდ სახლის პატრონის სასაცილოდ გამხდარიყო, მუდამ ღვინით გაქღენთილი, არას ინაღვლიდა. სიმღერით ხმა ჩახრინწიანებული, მუცელ გადმოგდებული და პირისახე შეშუპებული მეზობლისგან მეზობელთან დადიოდა, რომ კარგად გამაძღარიყო. შინაობისთვის ის თავს არ იწუხებდა, იმისთვის სულ ერთი იყო, თავის სახლობა გამაძღარი იყო, თუ მშრალა დაობებული პურით ხახას, და ყელს იკაწრამდა.

ასეთს მდგომარეობაში გახლდათ «აპრაკუნე», როდესაც ხსენებულმა ნაჩალნიკმა ის ერთს მეჯლისში ნახა და დროს გასატარებლად მიიწვია.

ნაჩალნიკს მით უფრო მოეწონა «აპრაკუნე», რომ ცოტათი რუსულად ჯიღ-ჯიღებდა და, მაშასადამე, თარჯიმანის ადგილის დაჭერაც შეეძლო და ჯამაგირის შუაზედ გაყოფას უსაქმო აზნაური-კი სიხარულით დასთანხმდა.

ნაჩალნიკი ამ შემთხვევისა ძალიან მადლიერი იყო და სიამოვნებით ჰფიქრობდა იმ დროზედ, როდესაც წვეულებას გამართავდა და სტუმრებს «აპრაკუნეს» მასხარად აგდებით გაართობდა.

მაზრის უფროსი ამ ფიქრში იყო, როდესაც მასთან მოვიდა სახლის პატრონი და მოწიწებით მოახსენა.

— თქვენო ვისოკოროდიევ, არ გინახავთ «აპრაკუნეს» მაიმუნობა?

— როგორ თუ მაიმუნობა?—იკითხა ნაჩალნიკმა და ყელში ჩაიცინა: უეჭველია, ჯერ კიდევ ბევრს ნიჭს გვაჩვენებს.

— მაიმუნს აჯავრებს, თქვენო «ვისოკოროდიევ!» გნებავსთ ვათამაშოთ?

— ძალიან სასიამოვნო იქნება, ძალიან... მაშ მაიმუნსავით თამაშობს?.. ჰა, ჰა, ჰა, ჰა!—კიდევ ჩაიცინა უფროსმა.

სახლის პატრონმა დაუძახა ერთს ყმაწვილს, წასჩურჩულა რაღაც და რამდენიმე წუთს უკან სამი კაცი შემოვიდა და თან ხალხი შემოჰყვა. ორს იმათგანს რაღაცა ნაბდის ნაგლეჯის ქუდები დაეხურათ, ერთს ხელში აელო ცარიელი ვედრო, ძალზედ უტყაპუნებდა და დასძახოდა: «ჩოლახ, ჩოლახი გელდი, ნარიბაბანი გელდი.» მეორეს ერთს ხელში სახრე აელო, მეორეში თოკის წვერი, რომლის ბოლოც «აპრაკუნეს» კისერზედ მობმული ჰქონდა.

ეს ამაყი აზნაური გვარიშვილობის და შთამომავლობის დამცველი, მართლადაც, რომ სასაცილო სურათს წარმოადგენდა. ჩაცუცქებულს, ხელები როგორღაც უცნაურად დაჰგძელებოდა, თვალის ზევითი ქუთუთოები აღმა შეებრუნებინა და ეს უსიამოვნო სანახავი მეტ ხორცი გეგონებოდათ; სახე უცნაურად დაჰპრანჭოდა და ისეც გადმოშვებული ღიპი, ეხლა უმეტესად გადმოეგდო.

ასე თამაშობდა აზნაური «აპრაკუნე», ართობდა ნაჩალნიკს და სტუმრებს, რომელნიც გულ-წრფელად ხარხარებდენ, სცემდენ ტაშს და ჰკვირობდენ «აპრაკუნეს» ნიჭიერებას.

ამ ნიჭიერმა წარმოდგენამ «აპრაკუნე» სრულიად დაუახლოვა ნაჩალნიკს და სამუდამო ლუკმა პურის იმედი მისცა.

ა. მოჩხუბარიძე.

(შემდეგი იქნება)

სცენები, სადაც ბ. ოსტროვსკის შეეძლე-ბა ჩვენებური ტანისამოსის და თამაშობის ნახვა.

## რუსეთი

— გაზ. «მოსკოვის უწყებანი» გვატყობინებს, რომ გზათა და ფინანსთა მინისტრებს მიწერ-მოწერა აქვსთ ერთმანერთთან იმის შესახებ, რომ ყველა საქონელი, რომელიც რკინის გზით მიაქვთ-მოაქვთ, უმეტესად მზღვეველ საზოგადოებაში იქმნენ დაზღვეულნი.

— გაზ. «ეხოს» სიტყვით, «შინაურ საქმეთა სამინისტროში» სჯა არის იმის შესახებ, თუ რა საშუალება აღმოაჩინონ, რომ სოფლელებს ცეცხლის წინააღმდეგობა შეეძლოთ. ამ აზრის თანახმად სამინისტრო ჰფიქრობს: ა) ყველგან ცეცხლის მქრობელი დრუჟინები დააწესოს, ბ) ასწავლოს ყველა მოზდილ სოფლებს, რა რიგად უნდა მოიქცნენ ცეცხლის ქრობის დროს, გ) დაავალოს აგენტები, რომელთაც სახლების შენების დროს თვალ-ყური ადევნონ და ისე აშენებინონ, რომ მათ ცეცხლი ადვილად არ გაუჩნდეს, და დ) საყოველთაოდ დაწესებული იყოს მორიგე ყურის-მგდებლობა, რომ ზაფხულში ცეცხლის გაჩენას წინააღმდეგობა გაუწიონ.

— იმის გამო რომ მომავალს წელიწადში რაოდენიმე ცვლილება უნდა მოხდეს სახელმწიფო ქონებათა მართვის საქმეში და აგრეთვე ტყეების გასაშენებლად მუშაობის შესახებ, შინაურ საქმეთა მინისტრმა ითხოვა 51000 მ.; ეს ფული საჭიროა სპეციალისტების სამსახურის საქმეებისთვის გასაგზავნ-გამოსაგზავნად.

## უცხოეთი

— საფრანგეთის სამხედრო მინისტრის ტიბოდენის სამსახურიდგან გამოსვლამ როგორც პროვინციებში, აგრეთვე პარიჟში საზოგადო უკმაყოფილება გამოიწვია. მონბელიარში დეპუტატმა ვიეტმა სიტყვა წარმოსთქვა და, სხვათა შორის, სთქვა: «სამხედრო დეპარტამენტში ჩვენ გვყავნდა ერთი პატიოსანი კაცი, გამოცდილი რესპუბლიკელი, ნიჭიერი და მშრომელი მინისტრი. გენერალი ტიბოდენი პატიოსნად ემსახურებოდა რესპუბლიკას. ის გამოცვალეს. რისთვის?.. მხოლოდ იმისთვის, რომ ის ასრულებდა თავის თანამდებობათა. მისი გაკიცხვა არაფერში არ შეიძლება. იგი რეულიად პატიოსნურად იქცეოდა. მან სამშობლოს სრული ნდობა დაიმსახურა. მთავრობამ დიდი შეცდომა მოუვიდა, რომ რესპუბლიკას ამისთანა მსახური მოაშორა».

— თანხა, რომელიც კორეის

მკვლელი ირლანდიელ ო-დონელისთვის გროვდება, ეხლა 13089 დოლარამდის ავიდა. ირლანდიელნი ამ თავის თანამოძმის დასაცველად თავგადადებით ემზადებიან.

## განცხადებანი

ნერსესიანის სომხური სასულიერო სემინარიის მზრუნველთა რჩევაში ოქტომბრის 26-ს, საღამოს 7-ს საათზე, იქნება ხელმეორე ვაჭრობა (ტორგი) ვაჭრობის განუმეორებლად (უპერეტორჟკოდ) იჯარით გაცემისა ძველი სემინარიის ქვემო სართულისა, რომელშიაც გამართულია 32 მაღაზია პირობათა გასინჯვა შეიძლება მზრუნველობის კანცელიარიაში ყოველ დღე, გარდა კვირისა და უქმე დღეებისა, 10 საათიდგან ვიდრე 12 საათამდე. (3—2)

მივიღეთ ბევრი ფოშტის ქაღალდი, რიფსისა და ბევრი სხვანაირიც კონვერტებით, აგრეთვე რკინის კალმები, კლეონკები, თეთრი მეტალის ფოდნოსები, ტუალეტის საპონი, ჩაი 1-ს მოკრეფისა და სხ. სულყველაფერი $25^0/_0$-ით უფრო იაფად იყიდება, ვიდრე სხვაგან სადმე ინგლისურს მაღაზიებში. იქვეა ზოგიერთა კაცის ტანსაცმელიც, დრაფი, ტრიკო და სხვა. ამეებშიც ფასი ძალიან დაეთმობათ მყიდველებს. (10—3)

**თბილისის ჯარების ტანთსაცმელის სამკერვალო, რომელიც ნავთლუღში იმყოფება, იწვევს სამუშაოდ მკერვალ კაცებს და ქალებს, რომელთაც კი შეუძლიანთ მუნდირების და შინლების ხელით კერვა და აგრეთვე იმ მკერვალ კაცებს და ქალებს, რომელთაც ფეხის საკერავ მაშინაზე მუშაობა იციან.** (10—8)

სასტუმრო (გოსტინიცა)

### „იტალია“

ნიკოლაევის ქუჩაზე, ვორონცოვის ძეგლის (პამიატნიკის) მახლობლად ჩემს საკუთარს სახლში.

ნომრები მშვენივრად მორთულია ელექტრიულის დასარეკის ზარით და მარდი მოსამსახურეებით. სასტუმროსა აქვს ბუფეტი. ფასი ნომრებისა, საჭმელებისა კარტით და სასმელებისა ნაკლებია.

სასტუმროს პატრონი ბ. სარქისოვი. (30—17)

### ინგლისური რკინის კრავოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდის. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება $25^0/_0$-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადხოსი, დასადგმელი, პირისაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწურავები, რიუმკები. გრაფინკები, საქაშეები, თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, ბარჩის სათხეები, ყუთები კაცისა და ქალისა, ალვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, ჯაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიჟები, ზარადები, კაპსიულები, ხათვანგები, ნაჩბები, ვატერპრუფები, საბნები, ხელჩები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—4)

## 1884 წ. იანვრის თვიდამ

### ქ. თბილისში

გამოიცემა ყოველ-თვიური ყრმათა საკითხავი სურათებიანი ჟურნალი

# ნობათი

პედაგოგიური ნაწილის დამატებით

მთელი წლის გამოცემა ჟურნალი «ნობათი»-სა იქნება 12 წიგნი, რომელიც ზედ-მიწევნით შეადგენს 800 გვერდამდე დიდი ფორმატისა და თითო წიგნი არა ნაკლებ 4 ბეჭდ. ფურცლისა.

ყრმათა საკითხავ წიგნისათვის საჭირო სურათები დამზადებული იქნებიან პეტერბურგში.

ქრისტეშობისთვეში გამოვა ნიმუშად ერთი ნომერი, რომელიც უფასოდ დაურიგდება 1884 წლის ხელის-მომწერლებს.

ყრმათა საკითხავ წიგნში დაიბეჭდება: ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, სურათები ხალხის ცხოვრებიდამ; ბიოგრაფიული მოთხრობები, მოგზაურობა, ეპიზოდიური მოთხრობები ისტორიიდამ, ამბები გეოგრაფიიდამ და ბუნების მეცნიერებიდამ; იგავები, ანდაზები, გამოცანები, შაირები, არითმეტიკული გამოცანები; სათამაშოები, რებუსები, სიმღერები ნოტებით და სხვ.

დამატებაში—მშობელთა და აღმზრდელთათვის—დაიბეჭდება: პედაგოგიური სტატიები მშობელთა და აღმზრდელთათვის შესახებ ყმაწვილების აღზრდისა და სწავლისა (პირველ-დაწყებითი). კრიტიკული და ბიბლიოგრაფიული სტატიები პედაგოგიური თხზულებებისა. პედაგოგიური ქრონიკა ჩვენი და უცხოეთის ცხოვრებიდამ. ნარევი. «ნობათი»-ს ფოსტა. განცხადებანი.

დამოუკიდებელი მონაწილეობა ჟურნალ «ნობათი»-სა აღუთქვეს და მიიღებენ: თ. აკ. რ. წერეთელი, თ. რ. დ. ერისთავი, გ. ე. წერეთელი, თ. ნ. ტ. დადიანი, ი. ბაქრაძე, ე. რ. გაბაშვილისა, ა. მ. მოჩხუბარიძე (უაზბეგი) და სხვ.

ქურნალზე ხელის-მოწერა:

ჟურნალი «ნობათი» ქალაქს გარეშე გაგზავნით და ქალაქში დარიგებით წელიწადში ეღირება ოთხი მანეთი. ცალკე ნომერი ათი შაური. მარტო ნახევარი წლის ხელის-მოწერა არ მიიღება.

სოფლის მასწავლებელთ შეუძლიანთ გამოგზავნონ: თავ-და-პირველად—2 მან. და შემდეგ: მაისში—1 მან. და ენკენისთვეშიც—1 მან.

რომელთაც ამ რიგათ ხელის-მოწერა ჰსურთ, პირ-და-პირ რედაქციას უნდა მიმართონ.

ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისში—ჟურნალი «ნობათი»-ს რედაქციაში, ალექსანდროვის ბაღთან, ხაზინის ქვემოთ, თუმანიშვილის სახლ. № 7 და შავერდოვის წიგნის სააგენტოში.

ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

გორში—გ. ფურცელაძისას.

თელავში— ი. პ. როსტომაშვილთან.

ფოსტის ადრესი: *Тифлисъ, въ редакцію педагогическаго журнала «Нобати»*.

(3—2) რედაქტორი-გამომცემელი ა. ს. ღულაძე.

*Дозв. ценз. Тифлисъ, 17 Октября 1883 г.* ექ. ხელაძის სტამბა. (*Типографія Е. Хеладзе.*) გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.